კვირა 7 ივნისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 98 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 98

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

## ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

## ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

იოსებ მაქსიმეს ძე ხელაძე, მეუღლე მისი მაკრინე ოქროპირის ასული, შვილები: ნინა და გრიშა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველთა უსაყვარლესი შვილის და მეორეთა ძვირფასი ძმის

### პრაპორჩიკ-ვახტანგ იოსების ძის ხელაძის

ნეშთი, რომელმაც გერმანელებთან ბრძოლაში 18 აპრილს გმირულათ განუტევა სული—ჩამოსვენებულ იქნა 4 ივნისს მათ ოჯახში სალორიის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება ამა ივნისის 7 რიცხვს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

ქვრივი პასიკო ივანეს ასული აბულაძისა, ვერა ლუკას ასული იოსელიანისა, ეკატერინე, ნინო და ბაგრატი აბულაძენი და გარლამ ივანეს ძე იოსელიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი მეუღლისა, მეორენი მამისა და მესამე სიმამრისა

### ლუკა მამუკას ძე აბულაძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება დანიშნულია კვირას, 7 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე. მესხეთის ქუჩის შესახვევი, საკუთარი სახლი. 1—2—446.

დ თი დამიტრი სიმონის ძე წერეთელი და მეუღლე მისი კნ. სოფიო (გოგოლია) იოსების ასული უგულითადეს მადლობას უძღვნიან ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომელთაც მათი უსაყვარლესი შვილის, პოდპორუჩიკის

### თ-დ იოსებ (სოსიკო) წერეთლის

ბრძოლის ველზე გმირულათ დაღუპვის გამო პატივისცეს და ანუგეშეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები პირადი დასწრებით მიცვალებულის გასვენების დროს, ან წერილებითა და დეპეშებით თანაუგრძნეს მათ. 1 1

კვირას, 7 ივნისს, სოფ. ზედა მაღლაკში, მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

### სონია დავითის ასული ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: დედა კნ. მარიამ ნიჟარაძისა, ძმები დავით და მიშა დავითის ძენი ნიჟარაძენი და ნინა დავითის ასული ჰითავასი. 1—1—449

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ბები** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

### ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და საიმედო საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამობით. თ.



20 პროც. შემოსავლისა გადაიდება კავკასიის მომქმედ ჯარის სასარგებლოდ.

ქ. ქუთაისში თეთრ ხიდთან ცირკის ნამყოფ ადგილზედ კავკასიის ცნობილი ფალავანის ნესტორ ესებუას, გამგეობით, გაიმართება ფრიად საინტერესო ხუთი წყვილი ქართული

**ჭიდაობა.** 1, იჭიდავებენ ცნობილი ფალავნები—დათიკო ჟღენტი და სერგო ჯაფარიძე, 2, იჭიდავებენ ცნობილი არტემ ენუქიძე და ზესტაფონელი საშა გეჟაძოვი, 3, იჭიდავებენ ცნობილი ამბროსი გოცაძე—8 ფუთია და ალ. აფალიანი, 4, იჭიდავებენ კოლა მაისურაძე და მიხაკო გორელი, 5, იჭიდავებენ ძ. ზაქარაია და პ. მასხარაშვილი. დასაწყისი ნაშვადღევის 5 ს. და გათავდება საღამოს რვის ნახევარზედ. დაუკრავს ზურნა. ადგილების ფასი: 1, წყ. 50 კ., 2 წყ. 40 კ. გალერეია 30 კ. შეგირდები 20 კ. გამგე ნ. ესებუა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა მოაგონებს განყოფილების წევრთ, რომ მდგომარე წლის შვიდ (7) ივნისს დილის თერთმეტ საათზე შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს დარბაზში დანიშნულია განყოფილების

### წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1) სამი უკანასკნელი წლის ანგარიშების განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის მოხსენება სხვადასხვა საგნებზე; 4) 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა იმათ მაგიერ, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ.

1915 წლის ანგარიშები თავის დროზე დარიგებული იყო. 1913 და 1914 წლების ანგარიში ბბ. წევრთ შეუძლიათ მოიკითხონ შავი ქვის საბჭოში. 2—1

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავათმყოფოში, სალორიის აგარაკში, გაიხსნა **სამშობიარო განყოფილება,** სადაც ყოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-2—234.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი** რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ე ბ ი

### მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდნენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე

### ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის

კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ამით ვაცხადებ, რომ ჩემდამი რწმუნებულ ცაგერის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში

### განმეორებითი გამოცდა

(переэкзаменовка) დაიწყება 3 აგვისტოს ამა 1915 წ., სწავლა 7-ს და მისაღები გამოცდები, 27 იმავე აგვისტოს.
2 1-447 ინსპექტორი ჯგუშია.

## დღევანდელ არჩევანის გამო.

დღეს მოხდება არჩევანი ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ერთის დირექტორისა, ნაცვლად ბ. დათეშიძისა, რომელიც წარსულ კვირას იმავ ბანკის გამგეობის თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული. პრესა ვალდებულია საზოგადოთ ანგარიში გაუწიოს ასეთ ფაქტს და მითუმეტეს ჩვენი გაზეთი, რომელიც მუდამ დიდ მნიშვნელობას აძლევდა და აძლევს ერის ეკონომიურ ვითარებას.

ჩვენი პრინციპია, რომ ჩვენს საკრედიტო დაწესებულებებში ისეთი პირნი იქმნენ მოწვეულნი, რომლებიც ცოდნით ემსახურებიან ამ საქმეს. ჩვენ მაშინაც აღვნიშნეთ და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ფაქტი ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შეკავშირებულ გამოსვლისა უქმად არ ჩაივლის. ეს კავშირი, როგორც ახალგაზდა კავშირი ზოგიერთ პრინციპების წინაშე შეიძლება ცდებოდეს, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ გამოცდილება და პრაქტიკა სათანადო სიმტკიცეს შესძენს მას მომავალში.

ერთ ასეთ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს ამ ჟამათ სურვილი ვაჭართა იმ ერთ ჯგუფისა, რომელიც კანდიდატთა შორის ასახელებენ ერთ სომეხსაც, რომელიც ამ ჯგუფის რწმენით ღირსეული კანდიდატია. მიუხედავათ ამისა ეს კანდიდატურა დამაფიქრებელია. ჩვენ სრულიად არ გვსურს ჩვენს ვაჭრებს ზოოლოგიური ნაციონალიზმი მოვახვიოთ თავზე. პირიქით კომერციაში ისე არაფერი არ არის საჭირო და სავალდებულო, როგორც მეგობრული განწყობილება სხვა ერებთან. და ჩვენ არასოდეს არ ვიტყვით უარს, თუ სხვა ერების წარმომადგენელთ გულრწფელად სურთ თავისი ცოდნითა და გამოცდილებით დაგვეხმარონ. მრავალი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ინტერნაციონალურ დამოკიდებულებიდან, როდესაც ერები და მათი წარმომადგენელნი ერთმანეთს შველიდნენ, უადვილებდნენ განვითარებას.

სომხის კანდიდატურას ჩვენ სულ სხვა მოსაზრებით არ ვიზიარებთ. რამდენი ხანია ჩვენი პრესა, ჩვენი საზოგადოება და ის დაწესებულებანი, რომლებიც განათლებისთვის ზრუნავენ გრძნობდენ იმ ნაკლს, რომ ჩვენი ახალგაზდობა ნაკლებ ეტანებოდა სპეციალურ და კერძოთ კომერციულ ცოდნას. ეს ნაკლი იმდენათ თვალსაჩინო იყო, რომ ბევრმა დაწესებულებამ, რომელსაც სტიპენდიები ჰქონდა უმაღლეს სასწავლებლებში, სავალდებულოთ გახადა სტიპენდიანტთა განსაზღვრულ პროცენტს სწორედ ასეთ სასწავლებლებში მიეღოთ განათლება. ეს იყო კატეგორიული მოთხოვნილება ქართულის სინამდვილისა და ასეთმა ზომამ თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო. დღეს უკვე გვყავს ისეთი პირნი, რომლებიც შეიარაღებულნი არიან სათანადო სპეციალურ მომზადებით და ბევრი მათგანი პრაქტიკითაც. ღვთისა და კაცის კანონებითაც მართვა-გამგეობა ჩვენ კომერციულ დაწესებულებებში მათ უნდა ეკუთნოდეს.

რა საჭელი იქნება ჩვენი ახალგაზდობისთვის, და საზოგადო ყველა ქართველ მოღვაწისთვის რომელიც ამდენ იმედს ატარებს გულში—იმუშაოს თავის სამშობლოს საკეთილდღეოთ, თუ კი ჩვენ მათ გამოუცდელობას მუდამ ვამჯობინებთ უცხოთა გამოცდილებას და კერძოდ სომხებისას, რომლებიც, გულ-ახდილათ ვიტყვით, კომერციაში ჩვენთან შედარებით მუდამ კონკურენციის გარეშე იქნებიან, რადგანაც როგორც თანამედროვე პირობები ცხოვრებისა, ისე წარსული კომერციული პრაქტიკა მათს მხარეზეა. ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს. ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს ის, რომ ჩვენ როგორც ერს არა მარტო **საკუთარ ცხოვრების** შექმნა გვიხდება არამედ ჩვენ გვიხდება ამ ცხოვრების შექმნა საკუთარ ხელით. მაშასადამე ხელმძღვანელობა ქართულ დაწესებულებებში ყველგან ჩვენი უნდა იყოს.

ამიტომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ის ჯგუფი ქართველ ვაჭართა, რომელმაც სომხის კანდიდატურის წამოყენებით უკვე გამოიჩინა ფართო ინტერნაციონალური შეხედულობა საგანზედ და ამით სავსებით დაამტკიცა მეგობრული განწყობილება არა ქართველ კანდიდატებისადმიც, უარს იტყვის დღეს ამაზედ უარს იტყვის თავის კანდიდატურაზედ თვით ეს კანდიდატიც და ხმას მხოლოდ ისეთ ქართველს მისცემს, რომელსაც უფრო ღირსეულათ სცნობს.

სხვანაირი არჩევანი ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია და ვერც გავიზიარებთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### კრუპის ქარხნის განყოფილება სტამბოლში.

კრუპის ქარხნის გამგეობამ სტამბოლში განყოფილება მოაწყო ოსმალეთისთვის სამხედრო სურსათის დასამზადებლათ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კრუპის წარმომადგენელმა სტამბოლიდან აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ ის მზათაა სულ მოკლე ხანში მოაწყოს სტამბოლში ქარხანა სამხედრო სურსათის დასამზადებლათ, თუ გერმანიის მთავრობა შესძლებს გერმანიიდან საჭირო მანქანების მიწოდებას.

ამ წინადადებას გერმანიის მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა. ფიცხლავ იქნა საჭირო ზომები მიღებული, რომ სტამბოლში გაეგზავნათ საჭირო მანქანები. მანქანები, რასაკვირველია, გაიგზავნა რუმინიითა და ბულგარეთით. საჭირო იყო საიდუმლოების დაცვა და გერმანიამ ხრიკს მიმართა. მანქანების ერთი ნაწილი გაიგზავნა, როგორც ვითომ სტამბის მანქანები; ელექტრონის მოტორები და სხ. მეორე ნაწილი დაშალეს და გაგზავნეს, ვითომ როგორც ამანათები.

მაგრამ ამდენი ამანათების გაგზავნა შეიძლება საეჭვო გამხდარიყო ბულგარეთისა და რუმინიის მთავრობისთვის და გერმანიამ მეორე ხრიკს მიმართა. გერმანიამ დაარწმუნა ამ სახელმწიფოთა მთავრობები, რომ გერმანიას აზრათა აქვს დაარსოს ოსმალეთში ახალი საკონსულოები და ამისთვის საჭიროა აუარებელი დოკუმენტები, წიგნები და სხვა მძიმე საგნები. ღმერთმა უწყის, დაიჯერა თუ არა რუმინიისა და ბულგარეთის მთავრობამ ეს რწმუნება. ის კია რომ ყველა ნივთი დანიშნულებისამებრ მივიდა სტამბოლში. როდესაც ყოველივე საჭირო ნივთებს თავი მოუყარეს, საჭირო გახდა სპეციალისტები—ინჟენრები, ტეხნიკოსები, ქიმიკოსები და სხ. ამისი მოხერხება ისე ძნელი აღარ იყო და 10 სპეციალისტი გაემგზავრა სტამბოლში. სალაღო ის არის, რომ ეს ვაჟბატონები სრულიადაც არ მალავდენ თავისი მოგზაურობის მიზანს.

### ამერიკა და გერმანია.

ბერლინში ოფიციალური ნოტის მიღებამდი, სალამოს, ბერლინერ ლოკალანცაიგერმა, მოათავსა ოფიციალური წერილი. ამ წერილის აზრით, მიუხედავათ ბრაიანის გადადგომისა, გერმანიამ არ უნდა შესწყვიტოს ამერიკასთან მოლაპარაკება. ამას გვიკარნახებს არა ჩვენი სიმხდალე და სულმოკლეობა, არამედ საქმის მდგომარეობის სერიოზული ხასიათი. წინასწარსა და გულწრფელ მოლაპარაკებას შეუძლია ორივე სახელმწიფო შეარიგოს და ომი თავიდან აშოროს. ამასთანავე შეიძლება ისიც მოვახერხოთ, რომ არც ერთმა სახელმწიფომ თავის წინანდელ პრინციპზე უარი არა სთქვან.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ის აზრი ტრიალებს, რომ გერმანიამ უნდა დაუთმოს ამერიკას „ლუზიტანიის საკითხის შესახებ, ამასთანავე დიპლომატიურ მოლაპარაკების დროს გერმანია ეცდება დაამტკიცოს, რომ დიპლომატიაში დამარცხდა ინგლისი და არა გერმანია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ნეიტრალურ სახელმწიფოების სულიერ განწყობილებისათვის.

ამერიკაში გაფაციცებით დაეძებენ იმ პირს, რომელმაც გერმანიას აცნობა, თითქო „ლიზიტანიაზე" სამხედრო სურსათი და კონტრაბანდი იმყოფებოდა. ამ მიზნისათვის შესდგა განსაკუთრებული ჟიური. ჟიურიც და ამერიკის მთავრობაც დარწმუნებული არიან, რომ ეს ამბავი გერმანიას აცნობა გერმანიის საზღვაო ატაშემ ბოიედმა.

### გერმანიის სოც.-დემოკრატია იტალიის ქომაგად.

ლაიპციგის „ფოლკ ცაიტუნგი" „ფორვერტსის" შემდეგ პარტიული თვალსაჩინო ორგანოა. მისი რედაქტორია ცნობილი ფრანც მერინგი. ამ გაზეთში მოთავსებულია წერილი იტალიის შესახებ.

გაზეთის სიტყვით იტალია დაჩაგრული რჩებოდა დიდ ხანს, როცა მისი მეზობლები—გერმანია, ავსტრია და საფრანგეთი ახალ-ახალ ახალშენებს იძენდენ. მხოლოდ 1911 წელს შესძლო იტალიამ ერთი ახალშენის, ტრიპოლის შეძენა, მაგრამ ამ კოლონიას სხვა ახალშენებთან შედარებით მცირე მნიშვნელობა ქონდა. გერმანიამ და ავსტრიამ თუ გაიმარჯვეს ისინი იტალიას „დასჯიან" მისთვის' რომ ის არ დაეხმარა თავის მოკავშირეებს. რომ დახმარებოდა გერმანიას, მაშინ ის ვერავითარ კომპენსაციას ვერ მიიღებდა ოსმალეთში, რადგან ოსმალეთის მოკავშირე, გერმანია, თავის მეგობარს დაიცავდა აბეზარი მტრებისაგან, მცირე აზია კი იტალიისთვის საუკეთესო ასპარეზია. გერმანია სცდილობდა დაერწმუნებია იტალია, რომ მას რუსეთის გამარჯვებით საფრთხე მოელოდა, მაგრამ ამ ხმებს იტალიამ არ დაუჯერა, რადგან რუსეთი გალიციისა და სტამბოლის მიღების შემდეგ თავის კალაპოტში ჩადგებოდა და მეტს ვერ მოისურვებდა.

ომის დაწყებიდანვე იტალიამ პროტესტი განაცხადა ავსტრიის მოქმედების შესახებ და მისმა მოკავშირეებმა კარგათ იცოდენ იტალიის აზრი.

იტალიელებმა ამას გარდა კარგათ ჩაიბეჭდეს ბეტმან ჰოლვეგის სიტყვები საერთაშორისო უფლების შესახებ—„ნაფხრეწ ქაღალდებზე" და აგრეთვე მისი ფორმულაც: „საჭიროებამ არავითარი კანონი არ იცის". გაზეთის აზრით სიგიჟეა იტალიის ქლიერების უარყოფა: 35 მილიონიან ხალხს ადვილად შეუძლია გამოიყვანოს ორი მილიონი არმია.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ დღეს, 7 ივნისს, დილის 11 საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში მოხდება ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის ვანყოფილების საზოგადო კრება. კრებაზე განიხილავია სხვა და სხვა საყურადღებო საკითხები.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ოქმი შეუდგინა ყასაბს მიხეილ ჯანაშიას ხორცის ნიხრს ზედმეტ ფასათ გაყიდვისათვის.

✦ ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა სამშაბათს 9 ივნისს, გამართავს „აკაკის საღამოს" ფრიად საინტერესო პროგრამით. პროგრამა ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ სტუდენტ ნიკოლოზ ლაჩქეპიანისაგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო მისს ამხანაგებში მოგროვილი ექვსი მანეთი აჭარელთა სასარგებლოდ.

✦ გუშინ, 6 ივნისს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისაგან დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო ქუთაისის გუბერნატორი ბ. პეტულოვი, მოსამსახურე პირნი და საზოგადოება.

✦ დღეს, 7 ივნისს, სალამოს 5 საათზე დავით კლდიაშვილის სახელობის ახლად გახსნილ სამკითხველოში, საფირხიის ეკლესიის სკოლის შენობაში მოხდება, ამავე სამკითხველოს დამაარსებელთა კრება.

✦ სოფ. მანდაეთიდან გვატყობინებენ, რომ სიცივეებს ვენახები და ხეხილი სრულიად მოუსპია.

✦ ქვარიანის ქუჩის მცხოვრებნი ჩივიან, რომ ფარნებს თავის დროზე არ ანთებენო. აგრეთვე ცუდ ამინდებში ამ ქუჩაში გავლა ყოვლად შეუძლებელია.

✦ დღეს, 7 ივნისს ქალაქის ბაღში ქალთა წრის გამგეობის მიერ გაიმართება დიდი სერნობა. წმინდა შემოსავალი გადაეცემა ომში მყოფ ჯარის-კაცთა ფეხსაცმელების დასამზადებლათ.

✦ ქუთაისის ქალაქის წიგნ-საცავ-სამკითხველო 1 სექტემბრამდის დაიხურა. სამკითხველოში შეიძლება მხოლოდ გაზეთების კითხვა.

✦ ამ მოკლე ხანში ქალაქის თეატრში აჭარელთა სასარგებლოთ გაიმართება დიდი სალიტერატურო სალამო. წმინდა შემოსავალი გადაეცემა ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას.

✦ საფირხიაზე დაარსდა უფასო წიგნსაცავ სამკათხველო ჩვენი მწერლის დავით კლდიაშვილის სახელობაზე, სამკითხველოს ამ მოკლე ხანში აკურთხებენ.

✦ ქუთაისის საზოგადოების ერთმა ნაწილმა შუამდგომლობა აღძრა რკინის გზის უფროსთან რათა ტყიბულის გზაზე დანიშნონ ზაფხულის განმომავლობაში საავარაკო მატარებელი, ვინაიდან აბანოებზე დიდძალი ხალხი მიდის.

✦ დ. ზესტაფონში ვაჭარ მამალაძეს მიუდია რამდენიმე ვაგონი სიმინდი. მამალაძე ფუთ სიმინდს 1 მანეთად და 3 შაურათ ჰყიდის.

✦ ხუთშაბათს, 4 ივნისს, ბალახვანის ქუჩაზე ვიღაც ჰაბუკიანმა მსუბუქათ დასჭრა რამდენიმე კაცი როგორც გამოირკვა ჰაბუკიანი მთვრალი ყოფილა.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა 5 ივნისს, ოქმის შეუდგინა მეხორცე ჯანიშიას. ხორცის ნიხრზე ზედმეტ ფასში გაყიდვისათვის.

### მოწერილი ამბები.

**დ. ჭიათურა.** კვირას, 17 მაისს, ადგილობრივ თეატრში, სცენის მოყვარეთა წრემ ახლად დაარსებულ ომში გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცთა და მათი ოჯახების დამხმარე ადგილობრივ განყოფილების გამგეობის თაოსნობით და ამავე განყოფილების სასარგებლოდ გამართა ქართულ-რუსული წარმოდგენა. ქართულად წარმოადგინეს ივ. გომართელის ვოდევილი „იასონის ოინები" და გ. ნუცუბიძის „თფილისში დალაქების ამქრების მიერ ნიხრის დაწესება" ზ. ნუცუბიძემ წაიკითხა თავის „ბოგოხლუსტვო" (სცენა), რომელმაც ხალხი ბევრი აცინა.

დასასრულ, სათადარიგო ჯარის კაცის ს. კილასონიას პატარა ქალმა (4 წლის და 6 თვისამ) წაიკითხა ლექსები: ილ. ჭავჭავაძის „გაზაფხული" და შიო მღვიმელის „პატარა ბეჯითი".

საზოგადოებამ სამაგალითო პატარა მოლექსე ტაშისცემით და ვარდ-ყვავილებით დაასაჩუქრა.

წარმოდგენამ, როგორც ქართულმა, ისე რუსულმა საერთოდ მშვენივრად ჩაიარა, ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნები დარჩენ.

ობოლი გლეხი.

— —

**დ. ყვირილა.** ქარ. მსახიობთა ამხანაგობა იწყებს ზაფხულის სეზონს ადგილობრივ კლუბის დარბაზში შაბათს, 6 ივნისს. წარმოდგენილი იქნება პირველად „პედაგოგები", 3 მოქ. კომ. თარ. ნახუცრიშვილის მიერ [illegible] „ბიუ-ვერხ!" ვ. ურუშაძისა. წარმოდგენა დაიწყება სრულ 9 საათზე.

— —

თითქმის ყველა მედუქნეს აქვს მოტანილი შაბიაბანი და უწყვია მაღაზიის წინ. გირვანქა ფასობს შვიდ აბაზათ.

— —

გაჩნდენ წვრილფეხა ჩარჩები, ყიდულობენ ბალს, ქათმებს, ლობიოს და გზავნის თბილისისაკენ, რის გამოც სანოვაგის ფასმა ძლიერ აიწია. ხორცი ღირს გირვანქა აბაზი. — —

მ. სიხარულიძესთან ფუთი სიმინდი ღირს 1 მ. და 10 კ. ეს სიმინდი კავკავიდან აქვს მოტანილი.

— —

ყვირილის მახლობლად მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი თათარი ჯამილა, რომელიც რამდენიმე წელიწადია ჩვენს მაზრაში დადათარეშობდა. — —

9 ივნისს გაიმართება აკაკის დღე. ადგილობრივ ნ. კ. გ. საზ. განყოფილების მიერ. სალამოში მონაწილეობას მიიღებენ ქარ. მსახ. ამხანაგობის დასი.

— —

მშვენიერად მოწყობილია ად. ნ. კ. გ. საზ. განყოფილების წიგნთსაცავ-სამკითხველო, მხოლოდ წყალი არა აქვთ! ძვირი არ ეღირება, რომ შეიძინონ გრაფინი და ჭიქა-ლამბაქი.

## პატარა ფელეტონი.

### სიკვდილის სიცილი.

#### (არჩილის ხსოვნას)

(სურათი).

— ის მოჯდომოდა მაგიდას და თავ ჩაღუნული სწერდა რაღაცას გრძელ წვრილ ქაღალდზე... სახეზე დროგამოშობით გაუელვარებდა ხოლმე მას მწუხარების ღიმილი.

— ხელს საჩქაროთ, საწერი კალმის საშუალებით, წინადადებები გამოყავდა ქაღალდზე. სწორი და სუფთა ასოები ერთმანეთს ეკვროდა, რიგ-რიგათ ეწყობოდა, ნაწერ ქაღალდის გროვა მატულობდა....

— მისი შინაარსი დიდდებოდა.

— ის სულ მუშაობდა, სწერდა და სწერდა და ვერას ამჩნევდა, რომ...

— არ ესმოდა საათის რაკა-რუკი, ვერ ამჩნევდა ღამის სიბნელის შემოპარვას, ვერ გრძნობდა სხვის სულისთქმას ზურგს უკან!

— ის წერით იყო გატაცებული!

## პასუხის უკანასკნელი პასუხი.

### ბ-ნ „ძველ პედაგოგს"

ბ-ნი „ძველი პედაგოგი" არ სცხრება. ჩვენს სამართლიან შენიშვნას, რომ ი. გოგებაშვილის მეთოდი წმინდა თარგმანით არ არის, როგორც ბ-მა „ძველმა პედაგოგმა" აღიარა („სამშ. № 79), ახლა „სამშობლოს" № 90-ში გოგებაშვილის „Русское слово"-ს ლექსიურ განყოფილებას ებღაუჭება, ვითომ თავის ფიქრით არჩევს და ხაზგასმით ასეთი დასკვნა გამოჰყავს: „ამ წიგნში არ არის საფუძვლათ ის დიადი ჭეშმარიტება, რომელიც სამასი წლის წინად აღმოაჩინა დიდმა მოძღვარმა ამოს კომენსკიმ და ურომლისოდ არც ერთი სახელმძღვანელო არ ვარგა". („სამშობლო" № 90.)

ბ-ნ ძველ პედაგოგს" ჰგონია, თუ კომენსკი ვახსენე, მორჩა და გათავდა, ბურთი და მოედანი ჩემია და ლელოც გატანილი მექნებაო. ჩვენ შეგვიძლიან აუარებელი მაგალითი მოვიყვანოთ სხვადასხვა მეცნიერ-კომპეტენტ-პედაგოგებისა გოგებაშვილის მეთოდის სასარგებლოდ, მაგრამ ამ ჟამად ვიკმარებ მხოლოდ კომენსკის აზრს, რომელსაც მოვიხმართ ერთად ერთ იარაღად ჩვენი ბრძენი მოპირდაპირის საწინააღმდეგოდ და დარწმუნებული ვართ მკითხველი უტყუარ მსჯავრს დასდებს, თუ რად დასჭირდა ბ-ნ „ძველ პედაგოგს" ამოს კომენსკი, როგორ ესმის მას ამ უკანასკნელის მოძღვრება, ან ღირს თუ არა ისეთ მოპირდაპირესთან კამათი, რომელიც მხოლოდ უანგარიშოთ ლამაზ სიტყვებსა ხარჯავს.

ენების შესწავლის საკითხს დიდებული ამოს კომენსკი ეხება თავის დიდაქტიკის ოცდა-მეორე თავში, რომელსაც სათაურად აქვს „Методъ языковъ" (იხ. ადოლფისა და ლიუბომუდროვის თარგმანი „დიდი დიდაქტიკა" გვ. 196).

ენების შესწავლაო,—ამბობს კომენსკი, უნდა ხდებოდეს ნივთთან ერთად, ასე რომ იმდენსავე ნივთს უნდა ვისწავლიდეთ, რამდენს სიტყვასაც, იმდენად უნდა ვავითარებდეთ შეგნებას, რამდენადაც გამოთქმას. სიტყვები ნივთს გარეშე არ უნდა ისწავლებოდეს, რადგანაც ცალკე ნივთები არც არსებობენ და წარმოუდგენელიცაა: მაგრამ, კავშირის მიხედვით, ხან აქ ჩნდებიან, ხან იქ და იჩენენ ამა თუ იმ მოქმედებას. ამ მოსაზრებამ მაიძულა შემედგინა კარი ენებისა (Дверь языковъ), სადაც სიტყვები, წინადადებაში მოქცეული, ერთსა და იმავე დროს ნივთების კავშირსაც გამოხატვენ" (გვ. 197). ახლა დავუკირდეთ გოგებაშვილის აზრს და შევადაროთ:

„ბავშვები თავდაპირველად ეცნობიან ცალკე საგნებს, რომელიც მათს გარშემოა და რომელსაც ყოველ დღე ხედვენ, შემდეგ—ამ საგნების მოქმედება—მდგომარეობას, რასაც აკვირდებიან და გაიცნობენ გრძნობათა საშუალებით. ამ განვითარების საფეხურზე ხმის შთაბეჭდილებანი რეალურ მიმღეობას უერთდებიან, ბავშვი საგნიდან სახელზე გადადის და ენას სასტიკ თვალსაჩინოებითა სწავლობს. მაშასადამე თვალსაჩინოება ქვაკუთხედია, საფუძველია, რომელზედაც აგებული უნდა იქმნას ენის შესწავლა. შემდეგ ბავშვი აერთებს საგნებისა და მოქმედების სახელებს და ამდენს წინადადებებს ისევ სასტიკი თვალსაჩინოების დაცვით" („მეთოდიკა გოგებაშვილისა გვ. 8) „ჯერ საგანი და შემდეგ მისი სახელი, ჯერ მხედველობითი შთაბეჭდილება, შემდეგ სმენითი მიმღეობა" გვ. 12). „ამ საფუძვლის მიხედვით ლექსიური გაკვეთილები იწყება ცალკე სიტყვებით, რომლიდგანაც მაშინვე დგება მოკლე წინადადება" (გვ. II.)

ახლა ვიკითხოთ, რას შეიცავს კომენსკის „კარი ენებისა"?

ამოს კომენსკი ენების შესწავლას რამდენსამე საფეხურად ჰყოფს. პირველ ორ საფეხურს შეადგენენ შესავალი (Vestibulum, Предверіе და კარი Ianua, дверь). ამ საფეხურების შინაარსი ასეთია: მასალა ბავშვების სალაპარაკოდ, რამდენიმე სიტყვები და მოკლე წინადადებანი, რომელთაც უერთდება სიტყვების ბრუნვა დ დახრა (съ присоединеніемъ къ нимъ таблицъ склоненій и спряженій). კარი შეიცავს ყველა სახმარებელ სიტყვებს მოკლე ფრაზების სახით (въ видѣ краткихъ фразъ), რომელშიაც ნათქვამია ნივთების შესახებ მარტივად და გასაგების ფორმით. ამას უნდა დაერთოს მოკლე და ცხადი გრამატიკული წესები, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სწორს ჩვენებას, როგორ უნდა გამოსთქვან, დასწერონ, შესცვალონ და შეაერთონ ამა თუ იმ ენის სიტყვები (какъ произносить, писать, видоизмѣнять и соединять слова даннаго языка" (იხ. „დიდაქტიკა" გვ. 202).

რომ ჩავუკვირდეთ ამ ამოწერილ ადგილებს, ნათლად დავინახავთ, რომ განსვენებული გოგებაშვილი იზიარებს დიდებული კომენსკის აზრსაც და ანგარიშ უწევს მას. ასე ნს, კომენსკისა და გოგებაშვილის შეხედულება უცხო ენის შესწავლის შესახებ მეტნაკლებლობით ერთი და იგივეა. დიაღ, კომენსკიც და გოგებაშვილიც ენის ელემენტარულ გრამატიკის ცოდნასაც თხოულობენ, მაგრამ არა განყენებულად, როგორც „ძველ პედაგოგს" ესმის, არამედ თვალსაჩინოდ, რომ ბავშვი თავიდანვე შეაჩვიონ სწორ ლაპარაკს, ხოლო სწორი ლაპარაკი-კი შეუძლებელია, თუ გრამატიკის წესიც არ იქმნა დაცული. აქ სიტყვა „გრამატიკა" ტყუილად აფრთხობს ბ-ნს „ძველ პედაგოგს". რა შეადგენს აქ გრამატიკის საგანს, რომელსაც კომენსკი გულისხმობს და გოგებაშვილიც აზოგციელებს:

„განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვების სწორ გამოთქმას, უფრო ისეთ სიტყვებისას, რომელშიაც წმინდა ქართული ხმები არ ისმის, მაგ. лежить (е), грифель (ф, ь), слышитъ (ы) (იხ. მეთოდიკა გვ. 13) „უნდა გვახსოვდეს, რომ რუსულის სწავლების დროს მთავარ სიძნელეს ლექსიკონი კი არ წარმოადგენს, არამედ რუსული ენის გრამატიკული ფორმები, რომელიც ძლიერ განსხვავდება ქართულისაგან და თხოულობს მკვიდრს შეთვისებას, მეტს ყურადღებას და ბავშვის გონების ძალის მოპყრობას. უნდა მივიღოთ მხედველობაში ბავშვის ფსიხოლოგიური კანონი, რომელიც გვასწავლის, რომ იგი ყოველ ცოდნას ადვილად იძენს, როცა მისი აქტიური მონაწილეობა და თვითმოქმედება პირველ ადგილებზეა, ამის მიხედვით ზმნის ფორმები და ბრუნვების დაბოლოვებანი ბავშვს ისე კი არ ეძლევა, რომ გაიზეპიროს მხოლოდ, არამედ რამდენიმე მაგალითის მიხედვით ბავშვი ადვილად იგნებს ცნობილი ზმნის ფორმა როგორ იცვლება სხვა ფორმად, რომელიც მან არ იცის. ბავშვმა ცნობილი ზმნებიდან უნდა შედგინოს ესა თუ ის ფორმა. ასეთივე წესია არსებითი სახელებისა და ზედსართავ სახელების მხოლოობითისა და მრავლობითის რიცხვისა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს დაკვირვებული ბავშვისთვის, რომ ზმნებში მაგ. მესამე პირის т, მეორეში იცვლება ш-დ (стоитъ—стоишь, сидитъ—сидишь) ან სახელ არსებითში—быкъ—быки, ученикъ—ученики და სხ. („მეთოდიკა" გოგებაშვილისა გვ. 15—16).

თუ დედაენის სწავლების დროს კი ვაჩვევთ ბავშვს სწორ ლაპარაკს იმავე კანონს უნდა ვიცავდეთ უცხო ენის სწავლების დროსაც. აქ არც „განყენებული ფორმებია", არც „ვაუგებარი მასალა" და არც „დახავსებული სხოლასტიკა", არამედ ბავშვის თვითმოქმედებაზე და აქტიურ მონაწილეობაზე დამყარებული ვარჯიშობა, რომელიც აჩვევს ბავშვებს რუსული ენის სწორი ფორმების ხმარებას. ეს ჩვენი მოკამათის მხრით მეტის მეტად ახირებული დაჟინებაა და გაუგებრობა, რაც ეჭვს გვისახავს ბ-ნი „ძველი პედაგოგის" მართლაც და პედაგოგიურს სწორ შემეცნებაში.

ჩვენი მოკამათე გვეუბნება „პლატონიც მიყვარს, მაგრამ სიმართლე უფროო". მკითხველი ნათლად დაინახავს ზემო ნათქვამიდან, როგორ ჰყვარებია „ძველ პედაგოგს" სიმართლე, როცა ამბობდა „Русское Слово-ში საფუძვლად არ არის ამოს კომენსკის ჭეშმარიტებაო". ეტყობა ბ-ნს „ძველ პედაგოგს" მარტო სახელი სმენია ამოს კომენსკისა და რაც შეხება მის აზრებს, მასზე მწყრალად ყოფილა.

შემდეგ ბ-ნი „ძველი პედაგოგი" გადადის „Русское Слово"—ს ლექსიურ განყოფილებაზე და მისი აზრით ვითომ ბდღვირს ადენს, ნამდვილად-კი ქარის წისქვილებს ებრძვის. „საგნებს აჩვენებს მასწავლებელი, ხან დგამს (?) მათ, ხან აწვენს (?), წაქცევს, გადააბრუნებს, გადმოაბრუნებს, რომ ასწავლოს ორი ზმნა „Стоитъ, летитъ" („სამშ. № 90). ასეთს რჩევას ბ-ნი „ძველი პედაგოგი" ვერც „Русское Слово"-ში წაიკითხავდა და ვერც გოგებაშვილისავე მეთოდიურს სახელმძღვანელოში, თუ გაუგონია ასეთი

— ავი სული კი იდგა მის უკან და იცინოდა. სიცილი მისი იდუმალობით იყო მოცული.

— ხანდისხან ეს სული გადიხრებოდა მის გამხდარ სახისაკენ, ჩახედავდა თვალებში, მის ნაწერებს თვალს გადაავლებდა და მოურთავდა ხარხარს...

— ის იცინოდა მაშინ შიშის მომგვრელი სიცილით.

სულმა ბოროტმა იცოდა, რომ მას დაეხოცა ნათესავები, დები, ძმები, იცოდა, რომ ისიც წამლობდა-ექიმს ფულს აძლევდა... იცოდა კიდევ მრავალი სხვა რამ, მაგრამ მაინც ხარხარებდა მაინც დასცინოდა!..

— ის მუდამ ზურგს უკან უდგა მას და თვალყურს ადევნებდა მის ცხოვრებას.

— ის სწერდა მოძღვრებას საერთაშორისო ძმობაზე, თანასწორობაზე და ათავებდა თავის ნაწერს გულწრფელი მოწოდებით საერთაშორისო სიყვარულისაკენ.

— მაგრამ დაუნდობელი ავი სული კი იცინოდა და უცდიდა მის უკანასკნელ წამებას.

— ის ავათ გახდა და საავადმყოფოთ გაგზავნეს.

— სადაც ის ცხოვრობდა, იქვე მოსჩანდა ზღვა—ხან წყნარათ მონარნარე, ხანაც მრისხანეთ მღელვარე, რომელშიაც თვალ-გაუწვდომელ წყლის სივრცეზე მიცურავდა ტალღა-ტალღისკენ და აზვირთებულ წყლის მასსაში ცელქათ მისრიალებდა ხომალდი და უშიშრათ ორიზონტიდან იმალებოდა.

— მას ბუნება უყვარდა. ხშირათ ის ტკბებოდა ზღვის საუცხოებით.

— ის ჩაფიქრებული ფანჯარასთან იდგა და ზღვისკენ იყურებოდა, მაგრამ ახლა კი ის სხვაგვარ აზრებს გაეტაცა.

— დიდი ხანია რაც მან წერა შესწყვიტა.

— ის დასუსტებული, ფერ-მიმკრთალი ძლივს დადიოდა..

— ნამეტანი ხშირი ხველებისგან სული ეხუთებოდა, ჰაერს ნატრობდა!

— უეცრად ხმა მოესმა; მოიხედა და არვინ იყო.

— მოულოდნელობამ შეაკრთო, გული შეუწუხდა, ლოყები წამოუწითლდა და შეწუხებულმა ლოგინისკენ მიიწია.

— ძაბორძიკდა და დაეცა.

— ჰაერი, ჰაერი, იძახოდა შეწუხებული!

— აქ მოეპარა მას სიკვდილი; გადახედა, გადაიცინა და გაქრა...

— ეს იყო უკანასკნელი სიცილი ავი სულისა წამებულზე.

**ვასო ჭითავა.**

## ნარკვევი.

ქუთაისის საურთიერთო ბანკის ამ დღეებში მომხდარ არჩევანის შესახებ გაზეთი **„საქართველო"** სწერს:

ქუთაისში საგულისხმიერო ამბავი მოხდა 248 ხმის უმრავლესობით 55 ხმის წინააღმდეგ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ახალგაზრდა, განათლებული ფინანსისტი რაჟდენ დათეშიძე. არჩევანში მონაწილეობას იღებდნენ ქუთათური ვაჭარ-მრეწველნი, რომელთაც დათეშიძე თავიანთ კანდიდატად წამოაყენეს.

ის ფაქტი, რომ ჩვენი კომერსანტების წრე შეთანხმებული, გაერთიანებული გამოდის ქართულ ეკონომიურ ცხოვრების სარბიელზედ, მართლაც ჩვენი საზოგადოების დიდ ყურადღების ღირსია. აქამდე ქართულ-ეკონომიურ დაწესებულებათა სათავეში ვირჩევდით ყოვლად პატივცემულ და მხოლოდ „პატივცემულ" ხალხს, რომელთა შორის პოეტიც შეგვხვედებოდათ, მაზრის უფროსიც, დამკვნარი, გამოფიტული მოხელეც და ნაზოქაულარიც. ვირჩევდით სიმპატია-ანტიპატიის და ნათესავურ სიახლოვის მიხედვით.

ეს არც გასაკვირველია, რადგან ეს იყო ლოღიკური შედეგი უგეგმო ქართულ ეკონომიურ პოლიტიკურის ცხოვრებისა, რომლის წყალობით საერთო ინტერესმსხვერპლად ვწირავდით კერძო ან ვიწრო ჯგუფობრივ წადილს.

და ამიტომ რ. დათეშიძის არჩევა და მისი 248 ჩამოყალიბებული ქართველ კომერსანტების ხმა მეტად მნიშვნელოვანია. ეს ის გზაა, რომელსაც უნდა დაადგეს ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრება.

ეს გზა ქართულ ეკონომიურ ორგანიზაციებს აუცილებლივ განათავისუფლებს დღევანდელ დილეტანტურ ინტელიგენტთა მეთაურობისაგან, ეროვნულ ეკონომიკას გაყინულ წერტილიდან დასძრავს და გააცხოველებს მას ნამდვილ საქმიანობით.

მაშ მივცით გზა ახალ რეალურ და მცოდნე ძალებს ჩვენი ქვეყნისას.

ვუსურვებთ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას ამ ახალ არჩევანით განახლებას და მოწყობას ქართულ ფინანსიურ ცხოვრებისას".

## სამწუხარო შეცდომის გასწორება.

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა საგანგებო კრების ანგარიშში (იხ. „სამშობლო" 93, 94 და 95).

ამ ანგარიშში გამოგვრჩენია ყველაზე უფრო საყურადღებო სიტყვები ბ. ბ. იაკობ ფანცხავასი და ხონელი ექიმის მათე ბახტაძისა.

ვბეჭდავთ ამ სიტყვებს და ამით ვასწორებთ ჩვენ საწყენ შეცდომას.

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა საგანგებო კრება.

31 მაისი.

**ი. ფანცხავა.** სასიამოვნოა, რომ აქ ადგილი აქვს აზრთა გაცვლა-გამოცვლას. კანდიდატებზე ალიძრა ლაპარაკი. აქამდე ყოველი არჩევანი ჩუმათ ხდებოდა, ყველ ფერი დაფარული იყო. ყველასათვის საჭიროა იცოდეს, თუ რა პოლიტიკას აწარმოებს ბანკის მეთაური და ეს მოვლენა ყოვლად მშვენიერია. მე არავის პირადობას არ შევეხები. აქ სთქვეს: თუ რამე ბრალდებაა, ის უნდა მიმართულიყოს ყველა გამგ. წევრის წინააღმდეგ და არა ერთისა და თუ აღმასრულებელი ფურცლებიც სისრულეში არ არის მოყვანილი, ეს ყველას უნდა შეეხებოდეს და არა ერთსაო. ყველასათვის ცხადია, რომ ბ. დათეშიძე ამ ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთად-ერთი განაგებდა საქმეებს. სხვა ორგანოებს შეუძლიათ მისცენ შენიშვნები, დირექტივები, ხოლო ყველა ამის აღსრულება ეკუთნის გამგეობას და გამგეობა კი მხოლოდ ბ. დათეშიძე იყო. ასე, რომ, რაც ითქვა თუ მართალია, მაშინ ამის სხვაზე გადატანა უსაფუძვლოა. ბ. დათეშიძე არჩეულია 1910 წ. ამ დროის შემდეგ ჩვენი ცხოვრება გართულდა და განვითარდა, განვითარდა წარმოებაც და ყველაფერმა იმატა, რის დამამტკიცებელი არის ის, რომ ქუთაისში გაიხსნა ორი ახალი განყოფილება ვოლგა-კამისა და აზოვის საკომერციო ბანკებისა. თუ ჩვენს ბანკს ზრდა დაეტყო ეს იმიტომ, რომ თვით საზოგადოება გაიზარდა და ოპერაციებმა იმატა. აქ პირად დახმარებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ნდობის მოპოვებას და განვითარებას თვით საზოგადოებამ შეუწყო ხელი. ჩვენ ბანკს უფრო მეტი წევრი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ მიუხედავათ ამ გარემოებისა წევრთა რიცხვი ერთ დონეზე სდგას. 1910—1911 წლებში აქ არსებულმა კომერც. ბანკთა განყოფილებებმა სესხის მიცემა შეამცირეს და იძულებული იყვნენ ჩვენი ბანკისთვის მიემართათ. მიუხედავათ ამისა, როგორც მოგახსენეთ, წევრთა რიცხვი და სხვაც თითქმის ერთ დონეზე სდგას, თუმცა ოპერაციები საერთოთ მომატებულია. აქიდან ცხადათ სჩანს, რა პოლიტიკას აწარმოებს ამ ბანკის მეთაური. ის მხოლოთ მსხვილებს ეხმარება და წვრილებს-კი ხელს არ უმართავს. ეს ბანკი საურთიერთოა, იგი დიდ ფულს ვერც ერთ ვაჭარს ვერ მისცემს. სამი ოთხი ათასი მანეთი დიდისთვის არაფერს წარმოადგენს, ხოლო წვრილისთვის სამას, ოთხას მან. დიდი მნიშვნელობა აქვს. აი ამ დარგში საჭირო იყო ხელის შეწყობა და არა განდევნა. აქ-კი რაღაც ყოფილა— მცირე შეძლების ხალხს მცირე კრედიტს არ უხსნიან. ჩვენ წესდება ნებას გვაძლევს, რომ კრედიტი გაუხსნათ მეურნეთაც სოლო—ვექსილებით. მეურნეობას და მის აყვავებას მჭიდრო დამოკიდებულება აქვს ვაჭრობასთან და ამ ბანკის მოვალეობაა მეურნეობის განვითარებას ხელი შეუწყოს კრედიტების მიცემით. ხოლო როგორც ანგარიშიდან სჩანს, ამ დარგში ერთი ვექსილიც არ არის დახურდავებული.

ჩვენ ერობა არა გვაქვს და ამ ბანკის მეთაური კი ამას ყურადღებას არ აქცევს, ასეთი პოლიტიკაა ნაწარმოები ¢ ეს პოლიტიკა ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. ჩვენ გვინდა ისეთი კაცი დავაყენოთ, რომელიც წესდებაში აღნიშნულ უფლებას გამოიყენებს ¢ შესძლებს შეთანხმებასორივე დარგისას—ვაჭრობას მეურნეობასთან და ამისთანა კაციც დასახელებულია.

**ექიმი ბ. ბახტაძე** (ხონის საურთ. ბან. თავმჯდ). როგორც ამგვარივე ბანკის წარმომადგენელი და ხელმძღვანელი მოგახსენებთ შემდეგს: აქ ბ. დათეშიძის შესახებ ბევრი ითქვა. თითქმის დიდი უმრავლესობა ამბობს ძალიან გამოცდილი კაციაო. ზოგი კი ნაკლს აღნიშნავს. ილაპარაკეს წვრილი ვაჭრების ინტერესებზე, უსაყვედურეს, კერძო საქმეები არ აწარმოოვო, მეურნეებს კრედიტი უნდა გაუხსნას ხოლო ვექსილებითაო და სხვა. თუ კაცი თავის პირდაპირ მოვალეობას კარგათ ასრულებს, კერძო საქმეთა წარმოებაზე წინააღმდეგობა არ შეიძლება.

ბ. დათეშიძეს ვაჭრული შეხედულება აქვს და ვინც ღირსია, იმას კრედიტს არ დაუკავებს. ბანკის არსებობა დამოკიდებულია ფულის ვადაზე შემოტანაზე და ვინც სანდო კაცია, იმას არას დროს კრედიტი და სესხი არ დაუკავდება. ბოლო დროს ჩვენში ვაჭრობა აყვავების გზას დაადგა და ამისთანა დროს დიდი მნიშვნელობა აქვს პირობების უნარსა და ნიჭს. რაც შეეხება სამეურნეო ნაწილს, ამას აქ ადგილი არა აქვს. ეს ბანკი არის მოკლე ვადიანი კრედიტის ბანკი სამეურნეო საქმისთვის გაცემული სესხი კი ჩვენს პირობებში უსათუოდ გრძელ ვადიანათ იქცევა და ამ ოპერაციებს ეს ბანკი შესამჩნევათ ვერ აწარმოებს. იმ პატარა ბანკიდან, სადაც მე ვარ, ერთს მემამულეს მივეცით სესხი და დავადგინეთ, სხვას არ მისცემოდა. ამ საუკეთესო მემამულემ არამც თუ თავნი, სარგებელიც ვერ შემოიტანა.

**ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო დღეს დაბეჭდვა** [illegible]

## † ვახტანგ ხელაძე.

(ნეკროლოგი).

დღეს, 7 ივნისს, მიწას ვაბარებთ სიცოცხლით სავსე ახალგაზდა მეომრის ვახტანგ ხელაძის ნეშთს, რომელიც მოკლულ იქმნა გერმანიის ფრონტზე აპრილის 18. საბრალო ვახტანგმა რეალური სასწავლებელი დაამთავრა შარშან 1914 წ., და შემდეგ ის გაემგზავრა პეტროგრადს რათა შესულიყო რომელიმე სპეციალურ სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო, მან ვერ აისრულა მიზანი და იძულებული შეიქმნა შესულიყო სამხედრო სასწავლებელში საიდანაც იანვრის დამლევს აფიცრის ხარისხით გაგზავნილ იქმნა დასავლეთ ფრონტზე, სადაც გმირულად განუტევა სული.

სასწავლებელში ყოფნის დროს იგი ითვლებოდა პატიოსან და კეთილ მოსწავლედ, რითაც დაიმსახურა ამხანაგების ნდობა და სიყვარული. ჩვენ მისი ამხანაგები დარწმუნებული ვიყავით, რომ ის მომავალში იქნებოდა ჩვენი საზოგადოების სასარგებლო წევრი, მაგრამ განგებამ სხვა გვარად დაატრიალა მისი ბედის ჩარხი.

დღეს სწავლის დასრულების წლის თავზე ჩვენ ვეთხოვებით მომავლის იმედით აღფრთოვანებულს და ენერგიით სავსე ახალგაზრდას. მშვიდობით გულწრფელო მეგობარო! გრწამდეს, რომ შენს ამხანაგებს თავიანთ სიჭაბუკის მოგონებასთან ერთად მოაგონდები შენ, როგორც გულწრფელი ახალგაზდა.

მსუბუქი იქნეს შენთვის სამშობლო მიწა!

**ამხანაგები.**

## † ექიმი სერგო ქდენტის სხოვნას.

(იხ. დღევანდელი სურათებიანი დამატება).

თანამედროვე ვაება ომმა მრავალი ენერგიით, სიცოცხლითა და დაუცხრომელი ძალღონით სავსე ახალგაზდობა გამოაცალა ხელიდან ისედაც დამცირებულსა და ფეხ ქვეშ გათელილ საქართველოს..

ერთი ასეთი ახალგაზდათაგანი იყო სერგო

წ.გნის არსებობა, მაშ საიდან შეთხზა, თუ არა იმიტომ რომ ლაპარაკის ჟინი მოეკლა. რაც შეეხება იმ შენიშვნას ბ-ნის „ძველი პედაგოგისას, რომ ხუთ გაკვეთილში მარტო ორი სურათიაო, ესეც უმნიშვნელო შენიშვნაა. რა საჭიროა სურათი იმ დროს, როცა ბავშვებს თვით საგნები აქვთ თვალწინ, სურათი ხომ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იხმაროს მასწავლებელმა, როცა თვით საგანს ვერ შოულობს და განა საგნის თვალსაჩინოება გაცილებით უძლიერესი და უმჯობესი არ არის სურათისაზე; ან რა საჭიროა იმ დროს სურათი, როცა ბავშვები უწიგნოთ, საგნების თვალ საჩინოებით უნდა სწავლობდნენ რუსულ ლაპარაკს. მაგრამ წარმოიდგინეთ ბ-ნი „ძველი პედაგოგის" აზრება—რაც უნდა თვალსაჩინოდ უჩვენოს მისწავლებელმა მოწაფეს საგანი და მისი მოქმედება, იგი მაინც დაჟინებით გაიძახის:

„სად არის აქ თვალსაჩინოებაო" და სხ. რა ვქნათ, კაცია და გუნება. ზოგს რაიმე აკვიტებული აზრი თუ უაზრობა იმდენად ხორცმეტად გაჯდომია ძვალ რბილში, რომ მისი ამოფხვრა საუკეთესო დოსტაქარსაც გაუჭირდება. მეც დარწმუნებული ვარ, რამდენიც არ ვეჩხირო „ძველ პედაგოგს", ის მაინც ვერ გაიგებს საანბანო ჭეშმარიტებას, რომ რუსული ენის სწავლების დროს, როცა ბავშვი საგნის სახელსაც სწავლობს რუსულად და ამ სიტყვებს წინადადებაშიც მოაქცევს, როცა ლექსიკონს თანდათან იმდიდრებს და ლაპარაკს ეჩვევა, როცა ბავშვი თანდათან ატყობს თავის თავზე წარმატებას რუსულ ენაში ლაპარაკის გავარჯიშებით, რაც ყოველ გაკვეთილზე ხდება, მაშინ ბავშვს ხალისიც თან და თან ეტყობა და არც ინტერესს არის მოკლებული ასეთი სწავლება. პირიქით ეს არის უტყუარი და ბუნებრივი გზა საუკეთესო პედაგოგების მიერ ნამოძღვრები და მათ შორის დიდებული პედაგოგის კომენსკის სისტემაც ამაზეა დამყარებული.

კომენსკი ერთ ადგილას ამბობს: „ახალ ენაში პირველი ვარჯიშობა ცნობილ მასალის გარშემო უნდა ტრიალებდესო" (გვ. 200). ამ აზრს დიდებული პედაგოგისას განსვენებული გოგებაშვილი ახორციელებს, როცა თავის რუსულ სახელმძღვანელოებს თავისივე ქართულ სახელმძღვანელოებს უკავშირებს და ამბობს: „Благодаря этой связи нашъ Грузинскій начальный учебникъ не только учитъ радной грамотѣ и родному языку, но и прокладываетъ дорогу къ легкому усвоенію русской грамоты и русской рѣчи" (იხ. წინასიტყ. „Рус. Сл. I ნაწ. გვ. 5)

კომენსკი ურჩევს კატეხიზმას, საღვთო ისტორიის ან რაიმე ცნობილი მოთხრობის კითხვას, მაგრამ იქვე ფრჩხილებში უთითებს „ენების კარს", როგორც პირველ საფეხურს, რომელიც უცხო ენის ლექსიურად შესწავლას უდრის და რომელიც ზემოთ განვიხილეთ. კომენსკი იქვე დასძენს: Главы изъ катихизиса и библейской исторіи, или что нибудь достоточно знакомое полезны для чтенія и перечитыванія благодаря часто встрѣчающемуся повторенію однихъ и техъ же словъ, которыя отъ этого крѣпче усвоиваются розумомъ и памятью". (გვ. 201) ამ აზრის განხორციელებას ვხედავთ „Русское Слово-ს ის მასალებში, რომლის შინაარსიც ერთია გოგებაშვილის რუსულ ქართულ სახელმძღვანელოებში, მაგრამ ასეთი მასალა ვერ შეადგენს პირველ-დაწყებითს სავარჯიშოს, იგი წარმოადგენს იმ დროს სავარჯიშოს, როცა ბავშვები ცოტად თუ ბევრად გაწაფულნი იქნებიან უცხო ენაში.

ამ სახით უცხო ენის სწავლების დაწყება პირდაპირ ისეთის მასალიდან, რომელსაც ქებით იხსენიებს ბ-ნი „ძველი პედაგოგი" და რომელიც „საღ პედაგოგიურ საფუძველზე დამყარებულად", „ფრიად ორიგინალურ ნაშრომად", რომელსაც შეუძლია თურმე დააინტერესოს ჩვენი და რუსეთის პედაგოგები და შეიტანოს ახალი სხივი ჩვენს სკოლებში, მეტის მეტად საეჭვოა გადაჭარბებულია და ამას უფრო ნათლად მაშინ დავინახავთ, როცა ბ-ნი ს. ოცხელის ნაშრომს მართლა სადი კრიტიკის თვალით გაარჩევენ ჩვენი ნამდვილი პედაგოგები და არა ისე ცალმხრივად, მიდგომით და მიკერძოებით როგორც ეს ინება ბ-ნმა „ძველმა პედაგოგმა", რომელსაც პედაგოგიაშიაც, სამწუხაროდ, მეტის მეტი ნაძალადეობა ეტყობა.

ბ-ნი „ძველი პედაგოგი" იმდენად თამამია და ლაღი მსჯელობაში, რომ იგი გოგებაშვილის „Русское слово-ს ლექსიურ განყოფილებაში ვერავითარ მეთოდს, ვერც თვალსაჩინოებას და ვერც სისტემას ვერ ხედავს. ასეთმა აზრმა უფრო მეტი ეჭვი დაგვიბადა „ძველი პედაგოგის" ნამდვილ პედაგოგობაზე. სჩანს ჩვენს მოკამათეს თავის ცხოვრებაში სულ სხვა საკითხები ჰქონია გამოსარკვევი, პედაგოგია მისთვის ან ახალი ხილია, ან გაკვრით შეხებია ოდესმე და ახლა ამ სიბერეში უნდა გამოიჩინოს ამისი ნიჭი. მაგრამ გვიანღაა.

თუ გინდ გადაუშალეთ „ძველ პედაგ." წინ Руское Слово-ს ლექსიური განყოფილება, თითი დაუდეთ და აჩვენეთ, რომ ყოველი მასალა გაკვეთილების მიხედვით არის დალაგებული სისტემაზე, ყოველ შემდეგ გაკვეთილში იმეორებენ ძველსა და სწავლობენ ახალ მასალას, გაკვეთილებს ერთმანეთში აქვს მჭიდრო კავშირი, ნასწავლი სიტყვებისა და წინადადების შემდეგ იმავე სიტყვებისა და წინადადების გადაბმით და შეცვლით ადგენენ პატარა ამბებს და მოთხრობებს ენაში სავარჯიშოდ, უმთავრესი ადგილი საგნის თვალსაჩინოებას აქვს დათმობილი, თვით მასალები ბავშვების მიერ ცნობილია და მისი უცხო ენაში ჩამოყალიბება აზრიანიც არის და ცნობილიდან უცნობზე გადასვლაც; თვით მარტივი გრამატიკული სავარჯიშოებიც დამყარებულია ცნობილიდან უცნობზე გადასვლის წესზე და ბავშვის თვითმოქმედებისა და აქტიური მონაწილეობის პრინციპის დაცვაზე; ლექსიური განყოფილება შეიცავს ბავშვის სალაპარაკო მასალას, რაზედაც კომენსკი უთითებს, რომ ამ ლექსიური განყოფილების წყალობით ბავშვები ეჩვევიან დაკვირვებასა და ცნობილ საგნებზე სწორმეტყველებას, ამით იმდიდრებენ ლექსიკონს და და ლაპარაკში ვარჯიშობითაც ადვილად ითვისებენ უცხო ენას: ყველა ამას „ძველი პედაგოგი'' მოგისმენსთ, მაგრამ მაინც ვერ დაარწმუნებთ და იგი ურწმუნო თომაზე უარესად დაჟინებით მაინც თავისას არ მოიშლის და ქედმოხრილი დარჩება არა „ჭეშმარიტისა და ისტორიის იმპერატივის წინაშე, „როგორც თვითონ ჰკონია და ჩვენც გვირჩევს არამედ უსამართლობისა გაუგებრობის და აბსურდის წინაშე.

განსვენებული ი. გოგებაშვილის მეთოდი რუსული ენის სწავლებისა არ არის დაძველებული, რაშიაც უფრო ცხადად დავრწმუნდებით, თუ მაგვარ უცხო ერების სახელმძღვანელოებსაც გადავშინჯავთ და შევადარებთ; მისი უვარგისობა და მისთვის „სულთათანას" გალობა ნაადრევია გოგებაშვილის სახელმძღვანელოს სადი მემკვიდრეობითი თვისება დაჰყვა მისი შემქნელისაგან, რომელიც ხანგრძლივ სიცოცხლესაც ხელს უწყობს. ხოლო უდღეურნიც ბევრი გვინახავს ქვეყნად, რომელთაც მირონიც-კი არ სცხებიათ და სულიც მალე განუტევიათ.

რასაკვირველია, ვინ იქნება ისეთი ქვეყნის მტერი, რომ საუკეთესოს გზა შეუკრას! მაგრამ სად არის ეს უკეთესი? გვჯერა, რომ ბ-ნ ს. ოცხელს მათემატიკის გაკვეთილებზე ბევრი უფიქრია რუსული ენის სახელმძღვანელოს შესახებ, დიდი შრომა გაუწევია, ორ-სამ გაკვეთილზე ქართულ გიმნაზიაში ექსპერიმენტიც მოუხდენია, ხანგრძლივი დაკვირვებაც ჰქონია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველა ეს საკმარისი არ არის, უნაკლულო ქვეყნად არა არის რა და ამიტომ ბ. ს. ოცხელს და ნურც „ძველი პედაგოგს'' ნუ ეგონებათ, რომ „Новое Слово'', მართლა ახალი, ხელის ხელ საგოგმანები და უნაკლულო რამ იყვეს პედაგოგიურს მწერლობაში. ამას ვიმეორებთ, ისევ სადი კრიტიკა დაგვანახებს, რომელსაც მეტი უნდა დაეჯერებოდეს, ვიდრე „ძველი პედაგოგის'' აზრს, რომელშიაც გამოსჭვივის მხოლოდ ბ-ნი ს. ოცხელის ცალმხრივი შეხედულობა და არა საგნისადმი უფრო ღრმა და ფართო დაკვირვება. საქმე ითხოვს მიუდგომელ კრიტიკას და არა ძველი პედაგოგისტურ ცალმხრივ რეკლამას. იმედია ასეთი მიუდგომელი კრიტიკოსები აღმოჩნდებიან სახალხო სკოლის მასწავლებელთა შორის, ისინი, როგორც უფრო დაახლოვებულნი საგანთან და კარგად მცოდნენი გოგებაშვილის მეთოდისა, სულ სხვა თვალსაზრისით მოეპყრობიან საკამათო საკითხს, ვიდრე „ძველი პედაგოგი'', რომლის ვითომდა პედაგოგიური მოსაზრებანი, როგორც დავინახეთ, მოკლებულია ყოველ სიმართლესა და ორიგინობასაც.

**ლ. ბოცვაძე.**

მიხეილის-ძე ჟღენტი, რომელიც 21 იანვარს მძიმეთ დაიჭრა და 25 იანვარს სამუდამოთ გამოესალმა ამ წუთი სოფელს...

უწყალო ბედისწერამ არ დაინდო ძალ-ღონითა და ენერგიით აღსავსე ახალგაზდა და მის ჭაბუკურ ღიმილით მოქარგულ ბაგეებზე დააჭკნო სიცოცხლის იერი; უპირო ბედმა მშვენიერ გრძნობებით აღგზნებულ გულს და მაღალი აზრებითა და მისწრაფებით აღსავსე გონებასა დუმილის შავი ლეჩაქი გადააფარა...

სამუდამოდ დადუმდა ხალხის საკეთილდღეოთ გამსჭვალული მშვენიერი გული... ვინ იცის ჯერ კიდევ ენერგიითა და ძალ-ღონით აღსავსე ადამიანს დამონებულ ერისათვის და წელში გატეხილ მშრომელი ხალხისათვის რამდენი სარგებლობის მოტანა შეეძლო?!...

სერგო ნამდვილი „კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“. იგი ყოველთვის პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდა საზოგადო ინტერესებს; ამიტომ ყოველგან დიდი სახელი და ღრმა თანაგრძნობა ჰქონდა მოპოვებული, სადაც ეს შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო... მისმა ასე უდროვოთ დაკარგვამ მრავალ მის მეგობარს და ნაცნობს დააღვრევინა მწუხარების ცრემლები... ძვირფასი ადამიანის დაკარგვის გამო მრავალი საგულისხმო წერილი იყო მოთავსებული რუსულ გაზეთებში.

განსვენებულის ნეშთი თებერვლის შუა რიცხვებში ჩამოასვენეს თავის საყვარელ სამშობლოში და დაკრძალეს სათიჩხიის სასაფლაოზე.

სიმ. ხ—ძე.

## კიდევ შიმშილობის გამო.

გაზ. „სამშობლო“-ს მე-90 ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორ საზარელ ნაღვლის აღმძვრელ სცენას ჰქონდა ადგილი დ. ახალ-სენაკში კვირას 24 მაისს; ამასთანავე მოვიხსენიეთ, თუ რა გულგრილათ უმასპინძლდება სოფლის დამშეულ ხალხს ადგილობრივი ადმინისტრაცია, ინტელიგენცია, და როგორ მოქმედებენ, რას ჩადიან ვაჭრები!..

ახლა მინდა გაგიზიაროთ და გაცნობოთ, თუ რა შედეგი მოჰყვა ხალხის მოლოდინს და როგორ იქნა დაკმაყოფილებული ხალხის მოთხოვნილება.

კვირას ადგილობრივმა პოლიციამ მოზღვავებულ ხალხს განუცხადა, რომ ბ. გ. ქავთარაძეს სიმინდი უკვე გამოწერილი აქვს და ორ-სამ დღეში მივიღებთ მანამდი კი მოთმინება იქონიეთო...

ხალხიც ყოველ დღე ელოდა სიმინდს... სადგურის მახლობლათ, რკინის გზის ლიანდაგი დილიდან საღამომდის მუდამ სავსე იყო სოფლელებით... ვინც მორეული სოფლებიდან იყვნენ მოსულნი, ღამეს სადგურის მახლობლათ ცივს მიწაზე ათენებდნენ, ავდარში კი გაუქმებული დუქნების წინ...

საცოდაობა იყო ხილვა წელში მოხრილ ჩოხა დახეულ, მოხუცებულ სოფლელი გლეხისა, რომელიც, შიმშილის გამო მოშორებია თავის ტკბილ კერას, ცოლ-შვილს და საწყლად, ძარტო დუქნის კარების წინ გაშლილ ტომარაზე გაწოლილა და ღრმა ძილს მიცემული საცოდავათ ხვრინავდა... ამავე დროს კი ადგილობრივი ინტელიგენცია „კლუბი“-ს გაჩაღებულ ოთახებში ბანქოს თამაშს მისცემოდა და თავისუფალი სიცილ-კისკისი ისმოდა...

გადიოდნენ საათნი, დღენი... ხალხის გროვას თანდათან ემატებოდა... ყველანი სიმინდის მოლოდინში იყვნენ. მალე მათ ლოდინსაც ბოლო მოეღო. ხუთშაბათს 28 მაისს ორი ვაგონი სიმინდი მიიღეს, ბ. გ. ქავთარაძის „წყალობით“.

რკინის გზაზე ვაგონების გარშემო აუარებელი ხალხი მოგროვდა. სიმინდის დარიგებას უცდიდნენ.

ამავე დღეს, საღამოს მატარებლით ჩამოვიდნენ მაზრის უფროსი და თვით ქავთარაძეც, რომლებიც საქმეს შეუდგნენ, მაგრამ...

ერთი ვაგონი სიმინდი დაბალი ხარისხისა, დამპალი და ყოვლად საძაგელი გამოდგა...

„ამ სიმინდს კაცს კი არა, პირუტყვს არ აძლევენ“ სთქვა დეპუტატმა ბ-ნმა ჩხენკელმა, როდესაც მას სიმინდი აჩვენეს.

როგორაც ჩანს, ომი და შიმშილობა ბ. ქავთარაძესთვის გაჩენილა, და ამას ვამბობ არა მარტო მე, ასე ლაპარაკობს დ. ახალ-სენაკის და აბაშის ახლო-მახლო მდებარე სოფლების საზოგადოება, ამას გაიძახის დღეს მთელი ხალხი...

მეორე ვაგონი გვარიანი გამოდგა...

ხალხი ფიქრობდა: ალბათ ეს უარესი სიმინდი ნაკლებ ფასათ გაიყიდებაო, მაგრამ აქაც ქავთარაძის პოლიტიკა შეურყეველი დარჩა. ორივე ვაგონი სიმინდი ერთ ფასათ დაურიგდა ხალხს,—რომელსაც მოუსაზრებლათ, საჩქაროდ მოჰქონდა, რასაც და რამდენსაც მისცემდნენ, რომ დროზე მიშველებოდა ოჯახს, მშიერ ცოლ-შვილს...

ვერ ჩვით... ვსთხოვთ ბ-ნ ქავთარაძეს ნუ ისარგებლებს ხალხის გაჭირვებით და ისედაც გაუბედურებულსა და წელში გამწყდარ მშრომელ ხალხს ნუ დაიმჩაგრავს, და შემდეგში მაინც რიგიანი სიმინდი მოაწოდოს, თუ არ უნდა, რომ ხალხის სამართლიანი გულის წყრომა დაიმსახუროს.

ანაშელი.

## საკვირაო ფელეტონი.

### იმერლის ბოდვა.

ძალიან ბევრი ვიბოდიალე, ხან ერთს ვებღვენი, ხან მეორეს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ „არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითაო“ ჩვენ ქალაქის სანიტარებს, ქვიშით კი არა რიყის ქვებით რომ დაუწყო ხეხვა, მაინც არაფერი არ ეშველება. რავაა!.. მარტო ბულვარდს და მის გარშემო უნდა სისუფთავე და სხვაგან არაა?.. ნახეთ მედუქნეების უკან ეზოები, ნახეთ წითელ ხიდს აქეთ რომ ჩასახვია სატივისკენ. იმ ჩასახვევისათვის სახელიც ვერ დაურქმევიათ და ან რა უნდა დაარქვან, თუ არ „სიბინძურის ბუდე“ რამდენი ადგილებია ამისთანა, მარა პატრონი ნი პრიწ..!...

რავარცაა გონია წყალტუბოს უჩდება პატრონი, მარა ჯერ ვერ გავიგე რომელი პატრონი მოკიდებს ხელს. ხათრისოვია თუ ხათრი-ინტურისტი ჩამოსულა, დაუმთავლიერებია, მოწონებია და გულში გადაუწყვეტია ნავთლუღში გადაიტანოს წყალ-ტუბოს აბანოები, მარა რანაირათ არ ვიცი. წყალს ვერ გადაიტანს ეს ქე ვიცი და ისე რაც შენობებია თავის კეტენტილებით, ღმერთმა მოახმაროს. ამასაც უნობენ ქუთაისის ქალაქის მამები აპირებენ პატრონობასო, ეს ძაან იქნება სწორეთ... წყალტუბოს დანახვას მაშინ არაფერი არ აჯობებს, რითიო არ მკითხავთ?! რითი და ერთი, რომ ელექტრონის განათება იქნება, მეორე, „ვოდოპროვოდი“ (სვანეთიდამ გამოიყვანებენ) ძესამე, ტრამვაი გავა ქუთაისიდამ წყალტუბომდი და მეოთხე, სისუფთავე რა სათქმელია, ყველა აქაურ სანიტრებს იქ გადიყვანებენ. მარა ეს ყველაფერი იცით როდის იქნება?? როდის და როდესაც წყალტუბოს წყალი იფეთქებს ამოსკდება და იქამდის აასხამს წყალი, რომ პირდაპირ ქუთაისში მოადენს ძგვერას, ადვილი შესაძლებელია ნავთლუღამდისაც მიაწიოს და სოლოლაკლების სიხარულს საზღვარი არ ექნება!

იმდენი მწყევლეს და მაგინეს ჩემი ბოდიალისთვის, რომ გადოუწყდა იმგენს, წუხელს ქუჩაში ძაღლმა კუნთი გამომგლიჯა, მერე ეს ვისი ბრალია?! მარტო ძაღლის ბრალი გგონიათ?! არ მოგეცესთ ქირი, ძაღლი რა შუაშია, მე თვითონ დავეტაკე ძაღლს, თვარა ის კი არ დამტაკებია, ან და რავა არ დავეტაკებოდი, რომ თვალ დახუჭული მივდიოდი. ამას წინეებზე ვთქვი და კაცმა არ დამიჯერა მე ვთქვი: გევიხედოთ და იმ მთვარესაც მოაკლდა სინათლე, მერე რაღა გვეშველებათქო, ისემცაგი რულდა ყოველი კაი, რავარც ეს შესრულდა. რაღაც საუბედუროთ სტუმრათ ვიყავი, ღამის პირველ საათზე დავბრუნდი შინ, გამევედი ქუჩაში— შენს მტერს, თვალში თითს ვერ მიიტანდი, ისე ერთიანად ჩამქრალიყო ფარნები, ფუთიალით თვალებ დახუჭული მოვდივარ... აქეთ რაღაცას წამოვკარი ფეხი, იქით კიდო რაღაცას და ბოლოს დევებდლევენი უშველებელ ძაღლს და შენს მტერს, მებღვნა და სულ ქიაქია გამომგლიჯა რბილი ხორცი. ესაა კაი?! ვიფიქრე, თუ ციდამ ყუმბარებს ესვრიან ჰაეროპლანებია თუ რაცხაა... და ამიტომ ჩააქრეს ყველა ფარნებიიი?!.. თვარა და ეს ოხერი მარტო მე დავდივარ ქუჩაში და ქალაქის მამები კი არაა? ერთი რატო ისინი არ დაებღლენებიან ძაღლს, რომ ჩემსავით იკრუსუნონ და თვარის იმედით არ დარჩნენ; ან რა ეშმაკებმა მოაწყო ასე ფარნები, რომ ერთსა და იმავე დროს ყველა ერთად ფიიქ!... და ჩაქრება. ოჰო! რა იქნება ამისთანა ბნელაში ეხლა პოლიციის ქუჩა!!.. მიხეილა ჯანდაბაძემ დამპატიჟა, მოდი ჩემო ფილიპე ჩემთანო.. რა შვილი ვარ, ოთხი ფეხი რო მებეს, კიდო ჰო! თვარა ორი ფეხი მაქ, ამ ორ ფეხში ერთ ფეხზე ნატამალი სირბილე აღარა მაქვს, როგორც ზევით მოგახსენეთ ძაღლებმა გამომჭამეს, ასკინკილათი თუ წავედი, შენს მტერს, გადარეულივით ქუდ-მოგლეჯილი შუა ქუჩაში ვერ ვიარ და თუ ტროტუარზე გავყევი, შვიდობით ჯუთისოფელო, ამ ერთ კაკალა ფეხსაც მევიტეხავ, ისე ჩანტრეულია პოლიციის ქუჩის ტროტუარის ქვები. ახლა კიდო უდნა წამომცდეს, რომ პატრონი არაა ყავსთქვა, პატრონი ქე ყავს, მარა მაინც უპატრონოა.

პოლიციის ქუჩას შენი ჭირი წაუღია, დევ ინტვრიონ ფეხი, თავის თავს მაინც უპატრონებ, შენ თქვი სხვა, უფრო გასაკვირვებელი საქმე, აი მაგალითათ ავიღოთ გაბრიელ ეპისკოპოსის სახელზე დაარსებული ბიბლიოთეკის შენობის საქმე. გუშინ გევიგე და ნეტაი ყურები დამსებოდა და ეს არ გამეგო, თურმე ნუ იტყვით შენობის აშენებას აპირებენ ფრანგების მოედანზე, ვინ გამოარჩია კაცო ეს მიყრუებული ადგილი?! ესეთი დიდებული კაცის სახელზე დაარსებული ბიბლიოთეკა ისეთ მიყრუებულ ადგილს უნდა იყოს, და ლიმონათების, ზელტერსკების და პივის სასმელი შენობები ბულვარდშიი?!...

რავა არ ვთქვა, პაპალუსტა, პატრონი არა გვყავს თქვაა!. რომ იკითხოს ვინმემ: სად არის გაბრიელის ბიბლიოთეკაო, უნდა უთხრა: წახვალ ასე პრიამათ მერე შეუხოვ მარჯვნით, მერე გადუხოვ მარცხნით, შემდეგ წახვალ კიდო პრიამათ მერე კიდო შეუხოვ და გახვალ ნაპარში და დეინახავ სახლს, შეხვალ იმ სახში და ის იქნება ბიბლიოთეკაო. ამას ის არ ჯობდა ბულვარში ერთი კუთხე მიეცათ და იქინა ეშენებიათ ამისანა ლამაზი შენობა?!.. ა! რას იტყვით თქვენ, ჰო! მე ქე ვიცი რას იტყვით, რას იტყვით და... იმას რომ მაშინ ქალაქს „დოხოდი“ არ ექნებაო და ახლა ბუფეტებიდამ ქე აქ დოხოდიო. ხომ ამას იტყვით?! ჰო! და თქვენ რომ ამას იტყვით, მე ფილიპე ბარბაქაძე ამის პასუხათ მოგახსენებყე, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ „დახოდებზე“ კი არა, არამედ ჩვენ უნდა ვეცადოთ უბრალო ხალხმა არ იფიქროს განვითარების „რასხოდობაზე“ მე კა ასე ვფიქრობ და!.. აბა შენი ჭირიმე მითხარი, სანამდი იქ მივიდოდე და მეხაშეებს გავიარდე, სულ იმის დარდში უნდა ვიყო, ძაღლებმა კუნთების სილბილეს „რასხოდობა“ არ მიქნან. არა, ჩემო ძმაო, მე ის მირჩენია ის ბუფეტები ფრანგების მოედანზე გადიტანონ, ღმერთმა მოახმაროს და ბიბლოთეკა კი ბულვარში, თვარა რომ გავძლო ორასი წელიწადი (მეტი არაა ჩემი მტერი) მე იქინა წამსვლელი არავარ სწორეთ. უ! აგიშენა ღმერთმა, ქე არ მომაგონდა... წასვლაზე, იქ არ წავალ და ჩვენს მეჩანსკი მამასახლისთან კი წავალ სწორეთ. მე კა არ გახლავარ მეჩანსკი, მე ნასტაიაშჩი დვორიანცკი ვარ, მარა ერთმა კარგმა ნაცნობმა შემომჩივლა, როდესაც მამასახლისს ვირჩევდით, დაპირება იყო არავითარი გადასახადი არ უნდა გადაგვეხდოო და მამასახლისი უჯამაგიროთ უნდა ყოფილიყოო. ახლა კი იქეთ ხანებში დაგვიძახეს და ოროლი შაური შეგვაწერეს კომლზეო, გეიარა ცოტა ხანმა და შენს მტერს ქე არ შამოგვაპარეს კიდო ათათი შაური: ახლა კიდო მიპარებენო და ნამდვილათ კიდო რაღაცას შამოგვაპარებენ და მიშველე, ჩემო პილიპე, გამიგე რაშია საქმეო, თუ ასე ყოველ კვირაში გვიმატეს, შენს მტერს, მე დღე დამადგება, ისევე ახ სოფელში გადევესახლები ან და დვორიანცკათ გავხდებიო.

მე უთხარი: სოფელში დარჩენილიყავი და შენი ორი კვალი მიწიზა მოგეარა კი გერჩიათქვა და რაც შეეხება დვორიანცკათ ყოფნა—ვერ მოგართვეს, ასე ადვილი არ გახლავს და არც აზნაურის საბუთებს იშონითქვა. რა მოგარბენიებდა ქუთაისში დასასახლებლათ, სოფელში შენი ცოლ შვილი ლეჩაქ დახურული, სუფთათ ჩაცმული და მშრომელი იქნებოდა და აქაზა ჩემო ძმაო შლიაპებს მოგთხოვენ, ქვეშ გოფიტრულ კაბებს მოგთხოვენ, მერე პორუსკობასაც დაიწყებენ, მერე სხვებს გაყობიან, მერე შენ გვერდს გიტევენ და გატუკიებენ თავს ძალით სადმე ოფჩესტვაში. ის ლოტოს თამაშს დაიწყებს შენ, კარტისას და აშენდება შენი ოჯახი! გასწი ძმაო სოფელში გასწი სანამდი ყოველივე ეს მოხდებოდეს. მე თუ მიყურებ ჩემო ძმაო, ჩემი საქმე სულ სხვანაირათ არის, ცოტა სიზარმაცე მირტყამს კინკრიხში და თუ ყოველ დღე ბულვარდში არ გავიარ გამევიარე, ისე ცხოვრება არ შემიძლია, იმისანა პრივაჩკაზე ვარ მიჩვეული. რაზუმეიცა საქმეცა მაქვს და პრიბლიზიტელნათ ყველაფერს ვაკეთებ. ჰო და ასე, ჩემო ძმაო, მეტს ნულარ მელაპარაკები, მე გაგიგებ ყველაფერს, მარა ხვალ ერთი ორი ხაჭაპური ქე გამიძღვანე ჩემთან, რომ მოხვიდე.

შემდეგ ფელეტონში სულ ტონჩნათ და ბეზ სკრივატელნათ მოგახსენებთ ყველაფერს რაც სლუჩაინათ მოხდება თუ დეისტვიტელნათ ნახვამდის.

მაინც ფილიპე ბარბაქაძე.

## ს ი ა.

ქ. შ წ. კ. საზ. ქუთ. განყოფილების სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ ლატარეაში ალეგრისათვის ქ.-ნმა ნინო ჯორჯიკიასამ შეაგროვა შეწირულება შემდეგ პირთაგან:

სოფიო მაჭავარიანისამ—1 საშაქრე, მარიამ კერესელიძისამ—1 დიდი შუშის წყლის დოქი. კნ ვერა დოთქიოვანიძისამ—1 საინი და 1 დიდი წყლის ჭიქა. ნინო ფანცხავასამ—1 ვაზა და 1 საფერფლე, ქ-ნმა ამოსოვისამ—ორი დოქი, 1 ვაზა, 1 წერილების ჩასაწყობი, 3 ჩარჩო, ორი ხის ქაღალდის დანა, 1 ხის საფერფლე. 1 კალმის ტარი, 1 მოხატული საინი. ანტონ ოდიშარიამ—1 მან. ა. დოთქიფანიძემ—50 კაპ. ბ. ჯაფარიძემ—50 კ. თ. ჭეიშვილმა—50 კ. ა. ელიგულაშვილმა—50 კ. რაფაილოვმა—50 კ. ბეგოვმა—50 კ. ბასილაძემ და კილასონიამ—50 კ. კაკიტელაშვილმა—50 კ. ო. ელიგულაშვილმა—50 კ. იოსებ ელიგულაშვილმა—30 კ. არონ ფიჩხაძემ—50 კ. ძმ. იაკობაშვილებმა—50 კ. ბეს. მახარაძემ—50 კ. იუდა ფიჩხაძე 50 კ. გაბრიელ ფიჩხაძე—50 კ. მოშიაშვილი—50 კ. გ. ჩიკვაშვილი—50 კ. ზაქ. ბუტულოვი—50 კ. უდალოვმა და ვავილოვმა—1 მან. ყველა ეს ფული და ზემოაღნიშნული ნივთები მოაგროვა ქ-ნმა ნინო ჯორჯიკიას მეუღლემ. ქ-ნმა ანნა ბადრიძის ასულმა მოაგროვა შემდეგ პირთაგან შეწირულება:

ელენე ფარნაოზის ასულმა ბახტაძისამ—სარძევე, თეოდოსია ყორყოლიანისამ—6 მურაბის ლამბაქი, თვითონ ანნა ბადრიძისამ—ორი გადმოსაფენი საული, ქ-ნმა [illegible] დორიასამ მოაგროვა: ჩანჩაევის ნა[illegible]—50 კაპ. ნადეჟდა აზაროვისამ—მოქსოვილი სალფეტკი, ქეთევან [illegible] [illegible] ალბომი, ვერა ხმალაძე—[illegible] ბალე კუზნეცოვისამ—[illegible] რიამ გამსის ასულმა—მოქარგული ჩანთები, ნინო დორიასამ—სურათებიანი ალბომი

## წერილი რედაქციის მიმართ.

### ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“ შემდეგ ანგარიშს.

მიმდინარე წლის აპრილს კურსების საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის მიერ შეძენილ იქნა ბათუმის სამეურნეო საზოგადოების საწყობიდან ამხანაგობის წევრთათვის 186 ფუთი შაბიამანი. ფუთი 5 მანეთად და 10 შ. სულ 1023 მანეთი დაიხარჯა: მოსატანი ბათომიდან ქუთაისამდე ბაგაჟათ 87 მან. 61 კაპ. გადმოსატვირთავი ქუთაისში 4 მანეთი და 28 კაპ. ბაგაჟის მიტანა ქუთაისიდან კურსებში 21 მანეთი და 18 შ. წვრიმალი ხარჯები 8 მან. და 1 აბ. სულ 121 მანეთი და 99 კაპ. აღნიშნული შაბიამანი დაურიგდა ამხანაგობის 160 წევრს ვენახის სივრცის მიხედვით ორჯერ აქიმობისათვის, გარდა ამისა, თანახმად ამხანაგობის საბჭოს და გამგეობის შეერთებული კრების დადგენილებისა, მისყიდულ იქნა გადარჩენილი შაბიამანი ომში დაჭრილ და სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებისა და საზოგადოების უღარიბეს პირებისადმი. სულ იყიდა 260 კომლმა. გაყიდული შაბიამანისაგან შამოვიდა 1370 მანეთი 63 კაპ. და 12 მანეთიც და 80 კაპ ცარიელი ბოჭკების გაყიდვისაგან.

| | | | |
|---|---|---|---|
| ამნაირად, შემოსავალი იყო | 1383 მან. | და 43 კაპ. | |
| ხარჯი — — — — | 1144 „ | „ 91 | „ |
| წმინდა მოგება დარჩა — | 238 „ | „ 52 | „ |

კურსების საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა თავის ვალად რაცხს გამოუცხადოს ულრმესი მადლობა დახმარებისათვის ქუთაისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტს.

25 მაისი 1915 წელი.

თამჯ. გამგეობისა პოლიკარპე ნიშნიანიძე.

წევრნი გამგეობისა { ნაუმ შავიანიძე. ნესტორ გიორგაძე.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.


დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „ჯ ა ჭ ვ უ ლ ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი თ ი ქ რ ი ს ტ ო მ ა ტ ი ა: ჩ ვ ე ნ ი ძ ვ ე ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა დ ა ხ ა ლ ხ უ რ ი პ ო ე ზ ი ა“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

—— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ —— თ.

ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი

ა ბ ა ნ ო. აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნამენარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი. თ. 215




სწრაფ ამბეჭდავი სტამბა ა. კობერიძისა—ქუთაისში.